



სააპელაციო საბჭოს  
ბადაყვივთილება  
ქ. თბილისი



MES 5 20 0000809597



09/09/2020

**„შპს შოთა რუსთაველის სახელობის სკოლა-ლიცეუმის ავტორიზაციის გაუქმების შესახებ“  
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2020 წლის 01 ივნისის №42  
3041 გადაწყვეტილების გაზიარების შესახებ**

შპს შოთა რუსთაველის სახელობის სკოლა-ლიცეუმის სააპელაციო საჩივრის, საჩივარზე თანდართული დოკუმენტების, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2020 წლის 01 ივნისის №423041 გადაწყვეტილებისა და №422950 სხდომის ოქმის, სააპელაციო საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარეების მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 24<sup>1</sup> მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 01 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 99-ე მუხლის პირველი პუნქტისა და 101-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად,

**საბჭომ გადაწყვიტა:**

1. გაზიარებულ იქნას „შპს შოთა რუსთაველის სახელობის სკოლა-ლიცეუმის ავტორიზაციის გაუქმების შესახებ“ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2020 წლის 01 ივნისის N423041 გადაწყვეტილება.
2. სააპელაციო საბჭოს 2020 წლის 09 სექტემბრის N806080 სხდომის ოქმის პირველი ნაწილი ცნობილ იქნას ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად.
3. დაევალოს სააპელაციო საბჭოს სამდივნოს გადაწყვეტილების დაინტერესებული მხარეებისათვის გაცნობის უზრუნველყოფა.

4. სააპელაციო საბჭოს გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის.: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ., №6) სარჩელის შეტანის გზით, კანონმდებლობით დადგენილი წესით და ვადაში.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული  
ცენტრი  
სააპელაციო საბჭო  
საბჭოს თავმჯდომარე  
ოკრიბელაშვილი ნინო

ნ. თეთრაძე

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული  
ცენტრი / სააპელაციო საბჭო  
მდივანი  
ჭეიშვილი დავით

